



სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საზოგადოებრივ პოლიტიკური გაზეთი

*** გაგოღის 1998 წლიდან * (528). აპრილი, 2023 წელი * ფასი 2 ლარი.***

ფოტო

ფოთში ალგომის სახელო ბის საკათედრო ტაძრის განახლების ათი წლის იუბილე აღინიშნა

ფოთში ალგომის სახელობის საკათედრო ტაძრის განახლების (ენკენიობის) ათი წლის იუბილე აღინიშნა. საკათედრო ტაძარში სამეიშო წირვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებთან ერთად აღავლინა. იმავე დღეს ტაძრის სამრევლო დარბაზს ნიკო ნიკოლაძის სახელი მიენიჭა, სადაც ტაძრის ისტორიის ამსახველი ფოტომათასის გამოფენა მოეწყო. ტაძრის ეზოში სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართა. ფოთის საკათედრო ტაძრის დღესასწაულს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, გურიის სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ურუშაძესთან, ფოთის მერთან ბექა ვაჭარაძესთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრო.



გუგუჩია

გუგუჩიში 9 აპრილს დაღუპულებს პატივი მიაგეს

გუგუჩიში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და გუგუჩიში მდებარე მემორიალური დაფა ყვავილებით შეამკეს. 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო სამხედრო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რის შედეგადაც 21 ადამიანი დაიღუპა, დაშავდა ასობით ადამიანი. 1989 წლის 9 აპრილიდან მუსკად ორი წლის თავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მკაცრად განსაზღვრდა მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო.



ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა მერის წარმომადგენლებთან და ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატ ჯანო პერგაიასთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეჭირვებულ ოჯახებს სახლში ესტუმრა, დაამლევი ალგომის ბრწყინვალე ღვინასწაული მიუღოცა მათ და სააღდგომო ნობათი გადსცა. სააღდგომო ნობათი მერიისგან მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 100-მდე სოციალურად დაუცველმა, მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებმა, მრავალშვილიანმა ოჯახებმა, მარტოხელა და შშმ პირებმა მიიღეს. მერიასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მუნიციპალიტეტში შეჭირვებული ოჯახებისთვის სასურსათო პროდუქტი გაიცა ასევე „ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების“ ჩხოროწყუს ფილიალის მიერ.

საქართველოს მომავლისთვის

გიხაროდენ, გიხაროდენ, გიხაროდენ, საქართველომ გამოიღვიძა. გულს უხარია ქართველი ხალხის ერთად დგომა და ერთი მიზნისთვის ბრძოლა- საქართველო უპირველეს ყოვლისა. „უფალი არს ჩვენთან“, დედა ღვთისამ ღიაცვას და გააძლიეროს, გააერთიანოს, ერთ მუშგად შეკრას ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პაწაწინა, დაშლილ-გაფანტული, გათითოკაცებული, „მგრის არ მცნობი, მოყვრის მგზობი“, თეთრისა და შავის ვერ მცნობი, ძმა ძმას გადაკიდებული სამშობლო.


გული სიამაყით მეფესებოდა, ყურს არ ვუკერებდი 30 აპრილს მთავრობის სახლთან შეკრებილ საზოგადოებას, რომელთა გამოსვლებიდან ისმოდა სიგყვები: - ეს არის ჩემი საქართველო, ჩვენი თავი „ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს“, ჩვენ უნდა ვმართოთ ჩვენი ქვეყანა. დიას, თუ არა ქართველმა ვინ უფრო იცის მისი ტკივილი, ვინ უფრო გრძნობს მის მაჯისცემას, ვის უფრო უყვარს შვილი ვინემ დედას.

დიას ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი მომავლისათვის, ბედნიერი და თავისუფალი საქართველოს ერთად, მყარად, ამყარდ ყოფნისთვის დავდგეთ ერთად, აკი ჩვენი პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი ხანია იბრძვის, დაუწოქებლად, საკუთარი სიცოცხლის ფასად თავის გუნდთან ერთად და იბახის - არა ომს, არა ქვეყნის დაბრუნებას იმ ჯოჯოხეთში, რაც ერთხელ უკვე გამოვიარეთ, რასაც აფხაზეთი და სამჩაბლო ჰქვია, რასაც ცხინვალის და ოსეთი ჰქვია, რამაც ძაძებით შემოსა თითქმის ნახევარი საქართველო და ადამიანებს დაუკარგა რწმენა, სიხარული, იმედი...

მაღლობა უფალს, ჩვენ უკვე გამოვიღვიძეთ... „აღსდევ საქართველოვ, აღსდევ საქართველოვ“ ერთიანი, ძლიერი, ქრისტესმიერი საქართველოსთვის.

გიხაროდენ, გიხაროდენ, გიხაროდენ უფალი არს ჩვენთან. ამინ.

ნათია ჯგუშია



ბ.3 2

სენაკი

გვიად გამსახურდია 84



31 მარტი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს აერთიანებს.

31 მარტს, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნულ გმირს, მეცნიერს, მწერალს, მთარგმნელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეულ ლიდერს, გვიად გამსახურდიას 84 წელი შეუსრულდებოდა.

32 წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს, პირველი პრეზიდენტის გვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, საყოველთაო რეფერენდუმში ჩატარდა. შეკითხვაზე: „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“—საქართველოს მოსახლეობის 98%-მა დადებითად უპასუხა, რის შედეგადაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

ჩვენი ეჭვითი... (85)...

ბატონ დილარ დაგარგულიას საიუბილეოდ

დილარ დაგარგულია წინა საუკუნის ადამიანია, პირველი ნახევრის. 85 წლისა მოყრილა და ქურუმით კვლავაც აგრძელებს დეაწებასა და ბრძენკაცობას. მასწავლებლები ხომ უბერებლები არიან, მათ უფლისგან ეწინდებათ ეს ჯილდო და უხდებათ კიდევ ამ სიამაყით თავმოწონება. თუმცა ბატონი დილარი ჩემთვის პირველყოფილია, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული კალმოსანია, დიდებული პუბლიცისტი და ესეისტი. ამ გამოკვეთილად საჭირო და უნიკალურ ქანრში მნიშვნელოვანია მისი, როგორც პედაგოგის, მკვლევარისა და მოქალაქის პოზიციიდან დანახული პრობლემების აქტუალურად წარმოჩენა და მაღალ ინსტანციებამდე მიგანა.

ასე, რომ მისი, როგორც მასწავლებლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწეობის მენტალობა უნივერსალური სულიერი კონტექსტებითაა ინსპირირებული. რამეთუ ის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა გახლდათ თავისი დროის უსაჩინოესი თაობისა, რომელიც მაღალკულტურული გნეობითა და შესაბამისი ცოდნით ამუშავდა გუგუჩის და ქმნიდა მის ასერიგად გამორჩეულ სახეს.

როგორც თხემით- გერფამდე პედაგოგისთვის, ყოველი მოქმედების აქტი, ონტოლოგიური მგრძნობელობის იმ აქცენტებითაა რეალიზებული, წიგნიერების საკრალური ნიშნებით რომ იმპულს ირდება.

ბ.3 2

აბაშა

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება



აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს აგრძელებს.

სოფელ სუჯუნაში, სანოლიო-სამაგაკოს უბანში 11, 12 და 15 ქუჩებზე, 4,5 კმ-მდე გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოების მიმდინარეობას აბაშის მუნიციპალიტეტის მერიისგან გაბეჭდილი მოადგილეებთან, ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსთან, თანამშრომლებთან და სუჯუნის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად გაეცნო.

საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა და გადაადგილება პრობლემას წარმოადგენდა. რეაბილიტაციის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა კომფორტული და უსაფრთხო გზით ისარგებლებს.

სანოლიო-სამაგაკოს უბანში გზების რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. გზების კეთილმოწყობისთვის 968 200 ლარი იხარჯება. სამუშაოებს შ.პ.ს. „ინდიკო“ ახორციელებს.

მირანა მიმდინარეობს

მისტია

მიხედვით ნიჟსა გზა ფართო

ვიწყებ ანეგდოტით, ჩვენს საოცარ მეგრელებზე: ორი მათგანი მოსკოვშია ჩასული და ქუჩის უადგილო ადგილზე გადაკვეთისას აღმოაჩინეს, რომ ეს არ იყო ნებადართული, – „ნაზად“! მოესმათ ხრინწიანი ხმა და ადგილზე გაქცევდნენ.

- რაო ბიჭო! უკან წადითო?!

-ხო, ასე თქვა, უპასუხა ცოცხალი უკეთესმა „მოპასუხე“ ამხანაგმა.

-მერე, ქვეყანა წინ მიდის და ჩვენ რაგომ უნდა წავიდე თუ უკან მაგალითად?

-გვერდზე პლანშეგჩამოკონწიალებულმა წესრიგის „სტრაჟნიკმა“ არ დააყოვნა და ახალმა განკარგულებამ ჰაერი დათა თუთაშხიას კარაბინით გააპო:

-„ლოჟიგეს“!

-რა უნდა ექნათ, წამოწვენენ ქეასავით მაგარ ბეტონზე და ირგვლივ მიიხედ მოიხედეს.

სიმქარისაგან მომხუილე ავტომობილების ჯოგმა, მარჯვნივაც ჩაუქროლა მათ და მარცხნივაც.

-„რა გვიქნა ბიჭო ამ შობელქაღალმა, როგორ მოგვჭრა თავი, ჩაილაპარაკა უფრო ხნიერმა.

-კიდევ კარგი „ნირიიაიგე“ (ჩაყვინთეთ) არ გვიბრძანა, სიცილით გულამოძვარმა ახალგაზრდამ, თორემ ვნახავდი როგორ გახვრეტდი ბეტონს და თან ჯარიმის ქვითარი ჩაიკუჭა ჯიბეში.

ყველა ეს „არაბეჯითი“ შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ, თუ იმ ძალიან დიდი ხნის წინ, „არგონავტებმა“ გადმოლახეს მღვები, მივიდნენ კოლხეთის მეფე აიგის სასახლეში, გადაიბირეს ის, მისი ასულის-მედეას სახით ხელში ჩაიგდეს „ოქროს საწმისი“ (არ არის მუსკად დადგენილი):

1). „ოქროს საწმისი“-ვერდის ტყავი იყო, ბეწვმოკლე შეკრეპილი, რომელსაც მდინარის თხელტალღებს უფენდნენ, რომ ოქროს ნამცეცები ბეწვს შორის დალექილიყო.

2). თუ ეს იყო ვერდის ტყავზე დაწერილი „ისტრუქცია“, ოქროს მოპოვების შესახებ.

ამ შემთხვევაში ვფიქრობ საქმე ეხება მდ. ენგურს, რომელსაც ჩამოაქვს ოქრო და არა ქუთაისსა და მდ. რიონს.

თუ ამ დროს ქვეყანა (კოლხეთი) ასეთ განვითარებას აღწევდა, რომ ოქროს მოპოვების „ისტრუქცია“(ვიმეორებ) ვერდის ტყავზე იყო დაწერილი, შე დალოცვილო! შენ რა გაგაჭირდა დღეს, რომ ბრწყინვალე კოლხეთის მოსახლეობისათვის გამოშვებული ჟურნალი - „ეგრისი“ და გაზეთი „ეგრისის მაცნე“ ვერ შეგინახია და თვითონ თვემდე ჭიანურდება მისი გამოცემა?!

აი, ამას ქვია „ნაზად“, „ლოჟიგეს“ და სამწუხაროდ არ არის გამორიცხული, დათა თუთაშხიას კარაბინით მქუხარე - „ნირიიაიგე“მოყვებს.

ამ სტრატეგიის ავტორს აქვს დიდი სურვილი, სწორად იქნას გაგებული მისი პოზიცია იმ მიმართულებით, რომ ისეთ, თითქოს ამისთვის გაჩენილ რედაქტორს, ქალბატონ ნათია ჯგუშას, ძალიან მაღალი ერუდიციის მქონე, ძალიან გამოხრწნელი ჟურნალისტის ეს საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ჯეროვნად იქნეს აღქმული და დაფასებული და შეფასებული. შეექმნას მას პირობები ამისათვის, რომ ფართოდ დააკავშიროს ჟურნალი და გაზეთი მკითხველთან. ამისათვის

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობა

მიმდინარე წლის 8 აპრილს შედგა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის რიგით მე-9 ყრილობა, რომელმაც მოისმინა თავმჯდომარეთა ანგარიშები და წესდებაში ცვლილებები. ყრილობას უძღვებოდა ბატონი გუბაშ მეგრელიძე.

ყრილობა მისასალმებელი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა, ბატონმა როინ მეგრეველმა და შეკრებილ საზოგადოებას წარმატებები უსურვა შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში. ყრილობამ ერთხმად, ყოველგვარი აურზაურის გარეშე



ფედერაციის თავმჯდომარე ჯორჯია ნიჭიერი შემოქმედის, ყველასთვის მისაღები და პერსპექტიული ლიდერი გიორგი მამაცაშვილი, რომელიც წარადგინა აკაკი სიხარულიძემ.

ჟურნალისტთა ფედერაციის ყოფილი თანათავმჯდომარეები, ქალბატონები: მარინა თეთუმანიძე და

მარინა გიგინეიშვილი დარჩნენ გამგეობის შემადგენლობაში და ახალ გუნდთან ერთად კვლავაც აქტიურად გააგრძელებენ მოღვაწეობას ამ მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზზე.

ყრილობამ საკმაოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, რაც მისასალმებელია. დასასა სამომავლო გეგმები, რომ უახლოეს მომავალში კვლავ შედგება ჟურნალისტებთან შეხვედრა, სადაც რაიონებისა და რეგიონების ხელმძღვანელთა არჩევა მოხდება და მეტი ყურადღება დაეთმობა პერიუერიებს და ღვაწლმოსილ ჟურნალისტებს.

ვულოცავ გიორგის ამ საპატიო მისიას და ვუსურვებ წარმატებებს. ჩემო გიორგი, მინდა მუდამ გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ფესვებიდან იწყება და ძლიერი მართლა მაშინ იქნება თუ ამ ფესვებს არ დაივიწყებ, და ესენი ჩვენ ვართ მთელი ქვეყნის მასშტაბით, სოფლად თუ ქალაქად მიმოუხანგული „მარგალიტები“, ე. წ. „ძველი გვარდია“, რომლებიც დღეს ყოველგვარი ყურადღების, საარსებო მინიმუმის გარეშე მაინც ვიბრძვით, მაინც არ ვიჩიოებთ და ყველაფერში ყველაფერი გვაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალი თაობა ფონს გავიღეს, უმტკივნეულოდ გაიარონ ბეწვის ხიდი და იყვნენ ძლიერები, ბედნიერები, წარმატებულები და „მეგრმა“ არ დაგვცინოს, რომელიც დღეს კალიასავით მოსჯარვია ჩვენს ქვეყანას -მინაური თუ გარეული.

ამ მებრძოლთა რიგშია სამეგრელო გემო-სვანეთის რეგიონალური გაზეთი „ეგრისის მაცნე“, რომელიც 25 წელია ემიდება რეგიონის მებაგინის სახელს და არც თუ ისე ურიგოდ ართმევს თავს ამ მისიას ყოველგვარი ბიუჯეტის გარეშე. მე იმედი მაქვს თქვენ დაინტერესდებით ამ და სხვა საჭირობოროტო საკითხებით, რომელიც დღეს დგას ქართული ჟურნალიტიკის წინაშე, რომელმაც თავისი სახე დაკარგა და ქაოსურ მდგომარეობაშია. თქვენს მიერ განვლილი გზა ამ სფეროში ჩვენ გვაძლევს იმედს იმისას, რომ თქვენ ნამდვილად მამაცად შეუგუდით და იბრძოლებთ ყოველგვარი ბოროტების დასამარცხებლად. სამეგრელოს ჟურნალისტთა გუნდი თქვენს გვერდით გვიგულეთ.

ვისურვებთ წარმატებებს. გამარჯვებები ყოფილიყოს თქვენი მეგზური ამ დიდ ასპარეზზე. ნათია ჯგუშა

აუმაღლესი ორივე გამოცემას სტატუსიც და დაფინანსებაც, გირაჟიც და რეგიონის სივრცეში, მკითხველთა ფართო მასებთან კონტაქტების შესაძლებლობა.

გაზეთი და ჟურნალი მაშინაა მიმზიდველი, როცა მოკლე, სხარტი გონების გამოთქმებიდან წერილები, იუმორგარეული კრიტიკა, სიახლეთა კუთხე „იცით თუ არა თქვენ“ და ასე შემდეგ.

თორემ: პირადად მე, რაგომაც მეჩვენება, რომ უკვე ვხვდებით ჩვენი გარემოცვის მიმართ გულგრილები, პიროვნულად ლაჩრები და თანაბარზომიერად მლიქვნელები. ოღონდ ჩვენ არ გადაგვისვამს ვინმემ (უკაცრავად) ჯაგრისი საპირისპიროდ ხელი და სხვისთვის, თუნდაც ტყავიც გაუძვრიათ, თანაც „ჯაგრინადა“.

ჩვენმა მრავალპარტიულობის აქიოტაქმა და წლების მანძილზე „მეს“ ძახილმა ისე გააუფასურა ჩვენი პოლიტიკური სივრცე, როგორც გენიალური მიგელ დე სერვანტეს საავედრას მიერ აღწერილმა ლამემ, როცა ღონისობი დაამე ქარის წისქვილების ღრჭილას უსმენს და სანჩო პანასას ეუბნება, რომ ეს მის წინააღმდეგ ამხედრებული ბოროტი ბუმბერაზების ქაღილია და დილას იგი (ღონისობი), მათ მუსრს გაავლებს.

ბევრი არ გვიკლია.

დღეს სხვა და სხვა პარტიებში (ამ რუსული ტერმინის სრული მნიშვნელობით) „დავერბოვებულნი“, ერთი ოჯახის წევრები, გვეგონათ ორდენის რაინდებით მზად არიან ერთი-მეორეს შეებრძოლონ და რაც ყველაზე ცუდია, ეს ისაა, რომ ერთმანეთის დასმენასაც ეწვეიან(დამსმენები და ჯამუშები ისედაც არ გვაკლია და ყველა „ფარსადანი“ ხომ არ უნდა გახდეს);

„ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომეცნენ, გემლაკებსა; იმდენი მამა უცხოხდა, რამდენიც იმას მისცემსა: ერთი ორიოდ პანდური, ამოჰკრეს და გაავდესა“.

პანდურის ნაცვლად, დღეს ფულის პაკეტების მოღაში და გულისარევამდე ფესვგამდგარი, „მოღერნიმბეული“ გამოყენება, კრიმინალური გზით არასასურველი მეტოქის „გზიდან“ მოცილებისა.

მე ვაღიარებ, რომ ჩემი წერილი, ვითომ თემიდან გადახვევებითაა სავეს. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ, მუსკად ისინი წარმოადგენენ მიზეზთა ერთობლიობის მთელ გუნდას.

პირადად მე ვისურვებდი, რომ გაზეთიც და ჟურნალიც უფრო კრიტიკული იყოს და არა მარტო ქალბატონი რედაქტორისთვის დამახასიათებელი, ადამიანური სიტოობით და სიყვარულით გაქვნილი, რომ მკითხველმა გაიგოს:-,თუ სიბნელე არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესაო“ ფაქტორმაც იმუშაოს, ზოგიერთს ლიფრამბები კი არა, ბისმარკის მათრახი არ აწყენდა:

„უძღურს ნუ სცინი და სუსტს ნუ სჩაგრავ, ამაყად, ბრიყვად წიხლებს ნუ ჩაქრავთ, თორემ უძღური ბევრჯერ გიმონებს: დაგიდარაჯებს, შეგიჩივებს დროსა, ავაღ რომ იყო, ანდა გეძინოს, ველარ მოიხმარ შეილსა და მძასა-და ცხვირში გადენს სისხლსადა მძარსა“.

საკუქუნეთა მანძილიდან მოდის ეს,მე, ვიგყოფი გონიერი შეგონება და არა ერთი შემთხვევა ახსოვს კაცობრიობას, მისი პრაქტიკულად განხორციელებისა.

ნუ გახდი ნაჯახით გასაჭურვლად იმას, რაც პაგარა დანასაც შეუძლია და ბოლოს; გენიოსი ვაჟა: -, ნუ გეძიო, ანაფერს გაგნებთ; მთიდან ყვირილი ხარისა“(ო).

პიშენ (გიორგი) კვანჭიანი.



დილარ ლაბარაშვილი - 85

ჩვენი მეგობარი...(85)...

(დას.გვ.1)

დრო-ჟამის აღქმის ფორმალური თუ რიტორიკული მოდუსის უარყოფელი მისი პუბლიცისტური მონოლოგები, ესეისტური ნიმუშები - ასე ხშირად რომ გვხვდებოდა და გვხვდება, როგორც აღვილობრივ, ისე რეგიონალურ ბეჭდვით ორ

განოებში, სწორედ იმ გრადიციული ჩვეულებების ერთგულია, ურომლისოდან ჩვენი, როგორც ერისა და ნაციის არსებობა და კულტურული სიმალე ვერც შედგებოდა. მისთვის, როგორც მართალი ადამიანისთვის წარსული ისევე კორექტირდება აწმყოთი, როგორც აწმყო-წარსულით, ამიტომაცაა ის მუდამ საინტერესო თანამედროვე გაგებით, მასთან დღევანდელი მეტოხევისთვის!

თხრობის მანერა, დახვეწილი სტილი და თემის აქტუალობა წარმოაჩენს მის სიმალლესა და ღირსეულობას. აღსანიშნავია ბაგონი დილარის როგორც სისხლისმიერი, ასევე სულიერი ნათესაობა სოლომონ და სარგის ცაიშვილებთან. „ცაიშვილი“- ფსევდონიმია, ნამდვილი გვარი ამ ღირსსახსოვარი ადამიანებისა დაგარგულია გახლდათ. ბაგონი სოლომონი დაბადებულია სოფელ ურთაში, 1900 წელს, მისი თაოსნობით გახსნილა ურთაში 4-წლიანი დაწყებითი სკოლა, სადაც თავადვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. პარალელურად, ლიტერატურული მოღვაწეობის კვალდაკვალ წერდა წერილებს: დანიელ ჭონქაძის, ბესარიონ ლოლბერიძის, თედო რაზიკაშვილის, ვასილ ბარნოვის, კონდრაძე თათარაშვილის(უიარაღოს) და სხვა გამოჩენილ მამულიშვილთა ღვაწლის შესახებ. დიდი ამაგი დასდო იონა მეუნარგიას ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლას. ის გახლდათ ბუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის უბაღლო მცოდნე. მანვე გამოაქვეყნა უიარაღოს ნაწარმოებთა კრებული- ვრცელი შესავლითა და მეტად მნიშვნელოვანი კომენტარებით.

მისი ვაჟი- სარგის ცაიშვილი გახლდათ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ- კორესპონდენტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, რუსთველოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. სწორედ ამ დიდებული ადამიანების, ვისი სახელებიც წარუშლელია ქართული ლიტერატურის იგორიაში, სახლ- მუზეუმის გახსნის ინიციატივა და მასთან მოთავეობაც უკავშირდება ბაგონი დილარის სახელს, იგივე ითქმის იონა მეუნარგიას სახლ- მუზეუმზეც.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი სისხლისმიერი სიახლოვისა, როგორც ბაგონი დილარი თავის ბიოგრაფიულ ესეში ბრძანებს, პროგნოზი არასდროს ჰყოლია, ყველაფერს საკუთარი ნიჭისა და ჯაფის ფასად მიაღწია. ფართოა ბაგონი დილარის კვლევისა და ინტერესების დიაპაზონი, რომელიც მისი მშობლიური ბუგდიდის ისტორიული „გრაგნილებიდან“ იწყება და სწვდება ყველა სფეროსა თუ მიმართულებას. მასზე, როგორც უაღრესად განათლებულ და წიგნიერ ადამიანზე თანაქალაქელები ასე იცხვებენ: „დილარ ბაგონმა ყველაფერი იცის, მის თვალ-ყურს არაფერი გამოეპარება“. ბაგონებმა ოთარ ჭითანავამ და რაულ ჩილაჩავამ „ჩვენი კუთხის ექვთიმე“ უწოდეს. ასეცაა, რულუნებით ჩაჰკირკიგებს ყოველ ასოსა თუ ბგერას, სიგვევასა თუ ფრაზას, ყველაფერს რაც მის ქვეყანასა და სამშობლოს, მის საყვარელ კუთხეს შეეხება... არიქა, რამე არ დაიკარგოს, არიქა რამე არ გამოგვრჩესო...

დიდი კაცია, დიდი კოლხი!.. ბიოგრაფიულ ეტაულებში წერს: „დავბადებულვარ 1938 წლის 24 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღის ცისკრისას და მთელი დღე წითელი კვერცხი მეჭირა თურმე. ხანდაზმულ მეზობლებს უთქვამთ, ბიჭს „თანაფია“ ღვარჯევით, მაგრამ მამას დილარი ღაუქმევი და ღღემდე ამ სახელით ვცხოვრობო...“

ცხოვრობს და მოღვაწეობს დილარ დაგარგულია, უძღვება თავის დიდ და ბედნიერ ოჯახს, ემშვეება უძვირფასეს მეუღლეს, წარმატებულ ვაჟებს, ქალიშვილებს, რძალს, სიძეებს, შვილიშვილებს და ებედნიერება სამყარო ესე და რაგომაც არა, იშვიათობაა ასეთი წიგნიერი შვილები, მათი მეუღლეები და შვილიშვილები, რომლებიც ღვთიუნათლიანად აგრძელებენ საყვარელი ბაბუისა და ბებუის გზას. როცა ბაგონ დილარს წარმოვიდგენ თავის მდიდარ ბიბლიოთეკაში წიგნით ხელში, უნებლიედ გივი გვეგვქორის ლექსი „მამა“ მახსენდება:

„...იჯექ დიდხანს,
და ღამითაც გრძელდებოდა ჯადოქრობა,
აბაჟურთან იხრებოდი
სპეცაკი და მელოგი,
და თაროდან წიგნი ისე
მოწიწებით გაღმოგქონდა,
თითქოს ფრთხილად-
ქალს ცხვიდან გაღმოსვლაში შველოდი!..“

ეულოცავ დაბადებიდან 85 წლის იუბილეს, უფალმა დიდხანს ამყოფოს ჯანმრთელად და ასე გონნათლად...

მისი დარი ღირსეული მამულიშვილები აშენებდნენ ამ გრადიციებით გამშვევებულ ქვეყანას და ნერგავდნენ სიყვარულს უსასრულოდ და უკიდევანოდ...

მრავალკამიერ დიდი ადამინო, ჩვენო ექვთიმე!..

**სიყვარულითა და პატივისცემით
ლაშა ბჟასალია**

აკტობიოგრაფია

დავიბადე 1938 წლის 24 აპრილს აღდგომის დღის ცისკრისას და მთელი დღე წითელი კვერცხი მეჭირა. ხანდაზმულმა მეზობლებმა თქვეს ბიჭს „თანაფია“ უნდა დაერქვასო, მაგრამ მამაჩემმა დილარი ღამარქვა და ღღემდე ამ სახელით ვცხოვრობო...

1957 წელს დავამთავრე ცაიშის საშუალო სკოლა ვერცხლის მეღალმე. სკოლაში ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი...

ამავე წელს უნივერსიტეტში საბუთების ჩაბარებაზე პაპანაქებაში პირველ დღეს, აბიგურიენტთა დიდი რიგი იყო და საბუთები ვერ ჩავაბარე. ისე ვიყავი გადაღლილი სკოლაში გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადებაში მამაჩემს ვუთხარი წავიდეთ სახლში და უნდა დავისვენო, თორემ მეგი არ შემიძლია-მეთქი, მამაც ღამთანხმდა...

იმ წელს ბუგდიდის გორფის ქარხანაში დავიწყე მუშად მუშაობა, თან ვმეცადინებოდი რეპეტიტორი არ მყოლია... შემდეგ ორი წელი ჟურნალისტიკაზე ვაბარებდი, დიდი იყო კონკურსი. გამოცდები ჩავაბარე, მაგრამ ვერ მოეხვდი, მაშინ ეჭვი არ შემიგნია ჩემს დაჩაგვრაში, მაგრამ ყველაფერი გამოაშკარავდა. ამას არ მოველოდი ღდა უნივერსიტეტის სახელოვან პროფესორ-მასწავლებლებისაგან (ღეტაღურად ჩემს მოგონებაში ვწერ)

1966 წელს დავამთავრე თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი. პროგნოზი არასოდეს არ მყოლია. ჩემი სადი პლომო ნაშრომი ბუგდიდის რაიონი დიდ სამამულო ომში, შოთა მესხიას ნებართვით, თბილისში, იმელში არსებული პარტარქივის გამოყენებით დაწერე და „ფრიაღზე“ შეფასდა (ასლს ვინახავ). შემდეგ ვხვდებოდი ომის ვეტერანებს, შინმოუსვლელთა მშობლებს, ნათესაებს, მეზობლებს, კვითხულობდი ფრონტულ სამკუთხა წერილებს, ვათვალიერებდი ჯარისკაცთა სურათებს (მოგ მათგანს ვინახავ), ამ მასალების გამოყენებით პერიოდულად, რესპუბლიკურ გაზეთ „ახკომში“, რაიონულ გაზეთ „მებრძოლში“ ვაქვეყნებდი სტატიებს, სურათებს. ჩემს სოფელში მოვაწვეე შინმოუსვლელთა სტენდი (ღღემდე არის).

ურთის სკოლაში მუშაობა დავიწყე ნოდარ ჭითანავას რეკომენდაციით... გემუშაობდი ცაიშის საშუალო სკოლაში.

1984 წლიდან გემუშაობდი პარტიის ბუგდიდის საქალაქო კომიტეტში...

1980-90 წწ.- ბუგდიდის სკოლა-ინტერნატის დირექტორად.

1990-2005 წწ.- ბუგდიდის განათლების განყოფილების ინსპექტორად.

1965 წელს ჩავირიცხე ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქ დამავალეს ენგურპეის მშენებლობაზე მონოგრაფია დაემწერა, რაც 1970 წლისათვის შევასრულე და საკანდიტო თემად დამიმტკიცეს (ასლსა და რეცენზიის ღედანს ვინახავ) ამ მასალის გამოყენებით ხარისხი არ დამიცავს, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო. ასევე გზა დავუთმე შვილებს. რესპუბლიკურ პედაგოგიურ ჟურნალში „ისტორია-სამოგალობათმცოდნეობა სკოლაში“. დავებჭდე „ექსკურსია ენგურპეის მშენებლობაზე“, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ მასწავლებლების დახელოვნების კურსებზე. ამავე ჟურნალში გამოვაქვეყნე ჩემს სოფელში პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების შესახებ.

70-80-იან წწ.ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე ათეულობით სტატია მიქვს დაწერილი, სამსახურებრივი გამოყენებისათვის და

პარტიული კონკურსებისათვის. მოგიერთი დაბეჭდილია რესპუბლიკურ პარტიულ ჟურნალში „საქართველოს აგიტაგორი“. მიღებული მიქვს ამ საქმიანობისათვის უამრავი დიპლომი და სიგელი. მათ შორის სკკპ ცკ-ის საპატიო სიგელი, ლენინის ბრინჯაოს მედლით.

1961 წლიდან ვიყავი სამოგალობეა „ცოდნას“ წევრი და ვკითხულობდი ლექციებს ... ვიყავი ამავე ორგანიზაციის საქალაქო გამგეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

ვარ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი და ბავშვობიდან დაწყებული სასკოლო ცხოვრებაზე, ისტორიის, ჩვენი მხარეთმცოდნეობაზე, ადამიანთა ცხოვრების, შრომის, გმირობის, მორალურ-მნიშვნელოვან საკითხებზე ვწერ. დაჯილდოებული ვარ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის საპატიო სიგელით. ამერბაიჯანის რესპუბლიკაში რესპუბლიკურ გაზეთს მივეცი ვრცელი ინტერვიუ. სადაც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გავამახვილე საქართველოში მცხოვრებ ამერბაიჯანელების ქვეყნის ცხოვრებაში ინტეგრაციის მიზნით მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

რაც შეეხება ჩემს პროფესიულ პედაგოგიურ საქმიანობას,ყოველთვის ვეკიდებოდი უმაღლესი პასუხისმგებლობის მოთხოვნით... მინიჭებული მქონდა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება.

ვასრულებდი სხვადასხვა სამოგალობრივ დაავალებებს კეთილსინდისიერად. ვიყავი ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი, სასამართლოს სახალხო მსჯელი, პედაგოგიური სამოგალობების წევრი და საქალაქო გამგეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ისტორიული სამოგალობების წევრი, წიგნის მოყვარულთა სამოგალობების წევრი. ვმონაწილეობდი მოსახლეობის საყოველთაო სახელმწიფო აღწერაში...


დაჯილდოებული ვარ სხვადასხვა ორგანიზაციების საპატიო სიგელებით, მედლებით, „შრომითი მამაცობისათვის“, „სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის“, „შრომითი ვეტერანი“.

ღღეს, 85 წლის ბერიკაცი სახელმწიფოსგან მიგოვებული „მშვიდად“ ვისვენებ, მომავლის იმედით...

დ. ლაბარაშვილი



ი. მეუნარგიას სახლ- მუზეუმის გახსნისას ცაიშში. 27.9. 1966 წ. ღგანან: ამროზ ბაბალია, ღავით ჭანტურია, ვალიკო მეუნარგია, დილარ ღაბარაშვილი, კაკა ჭანია,ბიძრო კარანახალია, ცილა ჭანაშია.



რეზო ალამია

ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კაკუ

(ბენიონი ღამისგამოღებული ღრამი და ტრამპილი)

(დასაწ. წინა ნომერში)

მისი სიტყვამოუბრობა შემდეგ ილსაც მოაჭკვიანებდა. ერთ-ერთი ქეიფის ჟამს, ღვინომორეული ახალგაზრდა, ეტეოდა შარიანი, გაჯიქდა, მაგიდიდან გადმოხტა და რომელიღაც სუფრის წევრს დაემუქრა გაშიშვლებული ხანჯლით. მაშინ ბატონმა ივანემ მიმართა

ღვინისაგან ტინამდგრეულს: – თქვენ, ყმაწვილო, ახლავე ჩააგეთ ხანჯალი ქარქაშშიო. სახელი რა გქვია სტუმარო?! მას უპასუხნია: – ჩარიქა, ბატონო! ბატონი ივანეს მიუძმარათავს ხუმრობით: – ბიჭო, ჩარიქიანი კი არა, კრუშკიანიც არ ყოფილხარო. ასეთი თბილი იუმორით და თავისი მაღალი ავტორიტეტით დაუშოშმინებია ღვინისგან გახელებული კაცი. ამდაგვარი მრავალი სხვა საინტერესო შეხვედრა ჰქონია ხალხთან. ბატონი ივანე განუხსნავებლად ერთნაირად პატივს სცემდა და გულისმეორად ექცეოდა ყველასო. ალბათ ამიტომაც აირჩია დიდმა ნიკალამ სამეგობროდ ივანე კიკვაძე-კაკუა.

ბატონი ივანესგან გადმოცემით ნიკალა სოფელ ეკში არასოდეს ჩამოსულა. ხოლო მხატვარზე მოგონება ფიქრები, ქება-დიდება, მირზაანის ღონეზე, სოფელ ეკშიც გახლდათო...

ივანე და ბატონი სამსონი მკვიდრი ბიძაშვილები ყოფილან. ბატონი ივანე გარდაცვლილა 78 წლის ასაკში და სამასსოფრო საფლავის ქვა ბატონ სამსონს შეუწირავს ბიძაშვილის მოსაგონებლად. ივანეს დაკრძალვის დღეს ბევრი თბილისელიც ჩამოსულა, რომლებიც კეთილად იგონებდნენ გარდაცვლილს, კეთილი პატრონის სიცოცხლის ჟამს, ოდა-სახლში ნიკალას ყველა სურათი მაღალ ღონეზე დაცული და მოვლილი გახლდათო. მერე ხდება ამ შედეგების ბედის გამრუდება. ბებია, მამის დედა, როცა სოფელში დაქვრივებულია, ჭირზე, ივანეს კახური ღვინო გამოუგზავნია თურმე კასრებით და ასე ეხმარებოდაო ახლომდებარე სოფელ ეკში ოცდაოთხი ივნისის ტარდებოდა დიდი რელიგიური ზეიმი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან დაკავშირებით და ივანე განსაზღვრულ დროს ყოველ წელს საჩუქრებით ჩამოვიდოდა. ასევე სახლში ჰქონია ჩასახედი უცხოური აპარატი და სხვადასხვა ზომის ყუთებით ჩამოუტანია თავისი დროის თბილისური და მსოფლიო მოვლენების გამომსახველი დიაპოზიტების მსგავსი სურათები.

მცხოვრებ ბატონ სამსონ კეკუასთან მოკლე საუბარი ჩავიწერე ძველსენაკში 1997 წელს, 25 ივლისს.

რა თქმა უნდა, ბევრად მეტ მოგონებათა ჩაწერა შეიძლებოდა, მაგრამ მოვერიდე ასი წლის ადამიანს და მშვიდად თავის სახლამდე მივააცილე – შეილო, რეზო, – გამოთხოვებისას მითხრა, – მომავალში კიდევ ვისაუბროთ მზე თემაზეო. მეორე ზაფხულს, სოფელში რომ ჩავედი, ბატონი აღარ დამხვდა, სამწუხაროდ, გარდაცვლილა, იმ ქვეყნად ბრძანდებოდა, მარადიულობაში...

მზე, თავისი უსაზღვრობიდან გამომდინარე, უდიდესი ფუნქციონერია სისტემისა. უფალი კი მის ირგვლივ უკიდურესო მოაზროვნე სიყვარული და სიკეთეა. ორთავეში, ცალ-ცალკე სრულიად განსხვავებული სიცოცხლეა და უზარმაზარი სიბრძნისეული ძალაა, ამიტომაც ისინი სამყაროში ძალიან ხშირად ურთიერთდამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ კოსმიური მთლიანობის პარამონია არ ირღვევა. ღმერთი უთუოდ მრავალ სხვა, ფუნქციურ უსასრულოების თვისებასაც ფლობს, რომლებსაც ჩვენ ვერანაირად ვერ გვგვადებით და მეცნიერულადაც ამოუხსნელია ყოველმხრივ.

წარმოიდგინეთ, მეგობრებო, მსოფლიოს ხელოვან გენიოსთა ცხოვრების ისტორიაში ეპიზოდურად როგორი ურთიერთმსგავსებებია.

აღორძინების ხანის ტიტანი მხატვრის და მრავალმხრივი მეცნიერის, ლეონარდო და ვინჩის; გენიალურ-გრაფიკულ ნახატებს, ფანტასტიურ მეცნიერულ აღმოჩენებს თუ ტრაქტატებს, შესრულებულს ქაღალდზე, რომელიც წარმოადგენდა პლანეტის უზარმაზარ სიმდიდრეს. ჭკუათხელი თუ ჩლუნგი შვილობილი, უფრო გაზრდილი, ყველს, ხორცს, გაფცქვნილ კვერცხს ან სხვადასხვა სამომხმარებლო ოჯახურ პროდუქტებს ახვევდა და ასე შეუგნებლად ანადგურებდა. აგრეთვე მოვლენა ვან გოგის, ბოლო საუკუნეების ფერმწერ მზეს, მხატვრის ერთ-ერთ შედეგს, რომელიც ჩვენთვის გაურკვეველი პიროვნების ოჯახურ საკუთრებას წარმოადგენდა, შემდეგ ტრაგიკულად საქათმის კარის მაგივრად რომ იყენებდნენ, ოჯახის უვიცა პატარა ბავშვმა ტილო-ნახტი იქიდან ჩამოსხნა, ხეს მიაყვდა და სათამაშო მშვილდ-ისრით სროლაში სამიზნედ იყენებდა. წუთიერად შექმნილი ისევ ფრიად პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვან წარსულის თბილისურ მოგონებასთან. პაპუნა წერეთელმა – ბატონი პაპუნა გახლდათ მეცნიერ-ხელოვნებათმცოდნე, ფერწერული სურათების კეთილმოყვარული, გადამრჩენელ-შემტოვრებელი, საზოგადო მოღვაწე და აკაკი წერეთლის, ახლო ნათესავი – გამოგნებული შემთხვევითი ამბავი მომიყვა ჩემთან სტუმრობისას ხელოვნების მუზეუმის სახელოსნოში. – შეილო! გთხოვ, ყური დამიგდე კარგად. – დიახ! ბატონო პაპუნა, მიეუბნე – ერთ დღეს, ადრე დილით გავედი სახლიდან, ოჯახურ საქმეზე მივდიოდი და გხვდავ, შუახნის ქურთის ქალი მარდად ხევეტავს ქუჩას, ხელში პატარა ჭუჭყიანი მუყაოც უკავია, რა თქმა უნდა, შეგროვილი ნაგვის ასაღებად, რაზეც რაღაც მუქნათელი, წითელ-ყვითელი ფერები შევნიშნე. ქალბატონთან ახლოს მივედი, ის ისევ განაგრძობდა თავის საქმეს და ვთხოვე თქვენი მუყაო გაიმეტეთ და მე დამითმეთ-მეთქი. – ეს ხომ ძველისძველი გაფუჭებული მუყაოა, რათ გინდა, აპა, წაიდე, კაცო! – მითხრა და ხელში მომიანჭა. მეც რატომღაც მაშინვე გუმანით მივხვდი და ვგრძნობდი, უკვე ჩემს საკუთრებად ქცეული, ფიროსმანის ნახტი მეკავა. უმაღლავბრუნდი სახლში. სურათ-ნახატი ფრთხილად გავასუფთავე და ფიროსმანაშვილის „კრუხი წიწილებით“ აღმოჩნდა, შემდეგ შენს ძმაცაც, რესტავრატორ გიორგი მაქაცარიას კარგად გაავაწმენდინე, რომელიც ამჟამად ჩემი კოლექციის სრულყოფილი ღირსება და მშვენიერებაა, შეილო რეზო! – კმაყოფილი დიმილით მითხრა. ამ ამბავსავე მშვენიერ ამბავს ყველას უყვებოდა საოცრად კეთილი პაპუნა. მის მერმე ბევრმა წელმა განვლო. დღეს ნიკო ფიროსმანაშვილის სურათი „კრუხი წიწილებით“ ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს და მილიონი დოლარი ღირს, თუ მეტი არა...

არ დავაყოვნოთ და გავაგრძელოთ თხრობა – საქართველოს ხელოვნების მუზეუმში თხუთმეტ წელიწადს ვმუშაობდი, როგორც მოგასხენეთ, ჯერ მხატვარ-რესტავრატორად, მერმე გადამიყვანეს ახალი ქართული ხელოვნების განყოფილებაში, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიშვილთან, უფროს მეცნიერ მუშაკად და, პარალელურად, მუდმივი გამოფენის დარბაზების ექსპოზიციასაც ჩვეული კორექტურით ვაკონტროლებდი. იმ წლებში ჩვენთან ბევრი ხელოვნებათმცოდნე მეცნიერი და მხატვარი მოდიოდა. აგრეთვე ხშირად გვეწვეოდა სოფელ ღრმად განათლებული, უნიჭიერესი, ფიროსმანზე გადაგებული და დიდი მხატვრის მირზაანის სახლ-მუზეუმის დამაარსებელ-აღმშენებელი, შემდეგში გენერალური დირექტორი, ბატონი ანზორ მაძლარაშვილი. ზოგჯერ დინჯად მობრძანდებოდა მეცნიერ-აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძეც; იშვიათად, მაგრამ გამოცხადებასავით შემოივლიდა ბატონი ლადო გუდიაშვილი, გენიალური მხატვარი და ჩემი პირადი მასწავლებელი. შემდეგ, თხოვნა-მოლაპარაკების შედეგად, ერთი თვე სახელოსნოშიც მობრძანდებოდა, რადგან დიდი მხატვრის ფერწერულ პორტრეტზე ვმუშაობდი, ბედმა გამიღიმა და უწყვეტად ერთი თვე ყოველდღე, დანიშნულ დროს, მუზეუმში მესხლებოდა. ბატონი ლადოს მეუღლეს, ადელეველ დიდ ქალბატონ ნინას უკვირდა, ბატონო რეზო, ლადო როგორ დაგთანხმდა პოზირებაზე? ეს ხომ პირველი შემთხვევააო. ამასთანავე მე დიმილით ვღუშდი. ბატონი ლადოს სხეზე მდებარე ფერწერული პორტრეტი, ტილოზე შესრულებული, ამჟამად ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში ინახება სოფელ მირზაანში. როგორც გაიამბეთ, მათგან მრავალი საუბრიდან დამამახსოვრდა უამრავი მწარე ან კარგი ისტორია ნიკო ფიროსმანაშვილზე, თუ რამდენი ნახატია დაღუპულ-განადგურებული, ზეთის ფერებით მინაზე შესრულებული, თხელ მუყაოზე, თუნუქზე, იმათგან მხოლოდ ერთი გადარჩა, მაგრამ კოროზიისაგან როდემდე ვისხნით, გაურკვეველია, რადგან უბრალო რკინის მასალისგანაა დამზადებული. აგრეთვე უნიკალური მხატვრობა კედლებზე, ბევრი საუკეთესო აბრა და შედევრ-ნატურმორტი გაქრა, რამდენიმე მათგანი თუ გადარჩა, მაღლობა ღმერთს და იმ ბრემს-სიკეთით სავსე ადამიანებს, ვინც იხრუნა ფიროსმანის ნახატების აღმოჩენა-გადარჩენაზე.

ბატონი ივანეს გარდაცვალების შემდეგ, ღმერთივით კაცს უთუოდ გულმა უგრძნო და სოფელ ეკში სტუმრად ჩასულა მხატვარი, კოლექციონერი და ფიროსმანის სურათების შემტოვრებელი, ჩვენთვის სათაყვანებელი კირილე ზდანევიჩი, საეჭვო მდგომარეობაში არსებული ნახატების მოსანახულებლად. სიცხიანი ზაფხული ყოფილა, სენაკიდან მთავორიან სოფელ ეკამდე შვიდი თუ რვა კილომეტრი მარტოს ფეხით უვლია. როგორღაც მოუხერხებია და შედარებით პატარა ზომის ორი მუშაშობაზე შესრულებული ფერწერული სურათი შეუძენია, ალბათ, ბატონი სამსონის მოგონებებში გულ-წყრომით ნახსენებ ჩასიძე ბულ ვინმე ლოთი ჩიქობა ვასაგან. ერთ-ერთი მუშის პორტრეტი, ფეხოსან ფიგურას ზურგით შეშის მორები რომ მიაქვს, ამჟამად ინახება ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში, კახეთში, სოფელ მირზაანში. მეორე თითქმის იმავე ზომის თემა

ერთნაირია? დასაზუსტებელია, ხელოვნების მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

ამ საოცარი და უკეთილშობილესი ისტორიიდან გამომდინარე, ყველა ქართული კეთაყვანებით და ვემადლიერებით ზდანევიჩის გვარს.

2006 წელა, შუაგულ პარიზში, ინვალიდების სახლთან ახლოს, გაღრე

ისტ ვალენტინა კალინინას ატელიეში პარიზელ მხატვართა შერეული გამოფენაა, აქ ჩემი ოთხი სურათიც იყო ექსპონირებული. ანსამბლ „ზიზის“ ყოფილი მომდერად ნაირა ბოლდაშვილთან და მის ფრანგ მეუღლესთან რამდენიმე წელია ვმუშაობ. შესასვლელ დარბაზში ქალბატონ ნაირასთან ერთად ვდგავარ და ვსაუბრობთ. ამ დროს სალონში შემოვიდნენ მშვენიერი ქალბატონები. კეთილშობილმა ნაირამ მოკრძალებით მოიწვია ისინი და ჩემი თავიც წარუდგინა, მერმე ერთ-ერთზე მეუბნება, თქვენს წინაშე კირილე ზდანევიჩის ქალიშვილი და პარიზში მუდმივად ცხოვრობსო. რა თქმა უნდა, ჩვენთან იმ წუთებში მშვენიერება იდგა, როგორც წმიდანი, რადგან ჩვენი კირილე ზდანევიჩის შვილია, ჩემ თავს ვეუბნებოდი. იმ დღესაც გალერეაში გამაცნეს გენერალ დუდაევის უერთგულესი პირადი დაცვის უფროსიც და სამასსოფრო ფოტოებიც გადავიღეთ.

დავუბრუნდეთ ბატონ კირილეს. წარმოდგენილი მაქვს, მხატვარი და ფიროსმანის აღმოჩენი, უაღრესად გამარჯვებული და მდიდარი, სამეგრელოდან თბილისში რომ ჩამოვიდოდა, ნიკალას ორი სურათით და სიახლე ამბავსაც ხომ ჩამოიტანდა, ფიროსმანის სურათ-შედეგები უკვე იყიდება სოფელ ეკში და შეძენის რამდენიმე მსურველიც გამოჩნდებოდა, ეჭვს გარეშე, ბატონი კირილეს გაემგზავრებოდა ხელმეორედ, მაგრამ უბედურება და სტიქიური მოვლენები ქვეყნად თავიანთი ექმაკეული თარიღით მოქმედებენ, საუბედუროდ, უკვე ფერულად ქცეულიყო ფიროსმანის უნიკალური შედეგები, რითაც სამუდამო სევდა და წუხილი მავ ფენად მოეფინა ქართულ, ისედაც ნაწამებ, მიწას. სამეგრელოში, როგორც თბილისსა და კახეთში, ბოლომდე ვერ უპატრონეს დიდ ნიკალას, ვერც აწ გარდაცვლილი ბატონი ივანე კაკუს მაღალმა სიკეთე-მაღლმაც ვერ გვიშველა და, ვერც ნააბრაგალის საგანგებო ყურადღებაზე, სამწუხაროდ, თავადვე დრომაც მწარედ დაიგვიანა...

გამაოგნებლად, თითქმის ყველა გენიის პირში სულიერ შემოქმედებას თავისი მწარე და ღირსეული ბედი თან სდევს: ფიროსმანის ურთულესი და უმძიმესი ცხოვრება შემოქმედებაშიც ხომ სუფთა, კამკამა ბუნებრივ ტბაზე, მოწმენდილ ცასავით ირეკლებოდა და ნორმალურ არსებობას არ სწყალობდა უახლესი გარემო.

თუ შენ, ადამიანო, სხვისი ტკივილიც გტკივა და მასავით განიცდი როგორც ეროვნულს, ასევე პიროვნულს, მაშინ ხარ მაცხოვარივით სიკეთით სავსე, თუ არადა, უკეთურობა გფლობს...

როგორც ბოროტებას მაქვს ტანჯვა, ასევე დიდ სიყვარულს და მშვენიერებასაც ახლავს მოუსვენრობა, ხიფათი, უმძიმესი შემთხვევები და, ხშირად, უბედურებაც. ამქვეყნიური გაუსაძლისი მრავალმხრივი ტვირთია ნებისმიერი გენიალური ხელოვანის და მეცნიერის ცხოვრება.

(გაგრძ. გვ. 5)



(გაგრძ. გვ. 4-იდან)

სიცოცხლის ბოლოს ნიკალამ წამებულ უმზეო, კაცთაგან გამეტებულ მარტოობაში დალია სული და ისე გამოეთხოვა წუთისოფელს. სარწმუნოა, მღუმარედ მინებებულს პირადი სიკვდილი მიიმედ არ განუცდია. ლეონარდო და ვინჩის და „ჯოკონდასი“ არ იყოს, მხატვრის შედეგები კი თავისთვის იდგა არხეინად, მარადიული სულით სუნთქავდნენ და ირგვლივ დროსა და სივრცეს ღმერთივით ფლობდნენ, ნიადაგ პლანეტის საგამოფენო დარბაზები ელოდა ლეონარდო დაწეებული. ნიკალა უკვე მიწად იყო ქცეული, ხარბგუშაძლარის, ასევე უხვად გამცემის, რომელიც მუდამუამს სამაგიეროს ითხოვს, ნებისმიერ ცოცხალთაგან, ძალიან ძვირად ღირებულს: არავითარი შეღავათი მისან. ალემ-მიცემის დიდი ოსტატია პლანეტის ძირითადი მარად ცოცხალი მასა...

რატომღაც ნიკალას უმეტეს სურათებში მარტოობის განწყობილება სევდითა და ურევითაა დატვირთული, თუმცა რა გასაკვირია...

ღმერთივით წმიდა მართალი შეწირული ნიკალა, თავისი ბუნებით, კოსმოსის ჩამოსხმული ცოცხალი, ნერვსისხელიანი, გულ-გონ-ძლიერ სულიერი უკეთილშობილესი ფორმა-მოდელია, აქედან გამომდინარე, მიუწვდომელია ამ გენიის მთის მწვერვალზე დაბინდული ბუნება. ჩემუელი ხედვით თუ ჭეშმარიტად სულიერი მართალი შეგრძნებით, ნიკალას უმეტესი ფერწერული შედეგები უნიკალურ ხატთა თვისებებისაა. სურათში მონაწილე ნებისმიერი ცოცხალი არსების თვალები კი კეთილშობილურ-წმიდანურია.

ფერწერის ხელოვნების ისტორიაში, უძველესიდან დღემდე მოყოლებული, მსოფლიოში რამდენიმე მხატვარი გამოკვეთილად თვითმყოფად ურთულეს მიუწვდომელ-ღვთიურგემოვნებიანია, ყოველი მათგანის სურათის, ნახატის რითმული ფერი, ურთიერთმერწყმული ფორმა, პარმონიულად გამდინარე გარდამავალი ხაზი, რომელსაც ახლავს ანდამატური გრძნობა, მუსიკალურ-პოეტურია და ნაწარმოების მთლიანი განწყობილება? დამე წყნარი მდინარის ზედაპირზე მოთამაშე მთვარის გამოსახულებასა ვითაა.

ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული ქმნილებები კი, რაღაც მაგ ფორმის-სახისმიერი ნაწარმოების, ღვთიურ ელემენტ-გემოვნებაზე უფრო ძლიერი სიცოცხლით სავსე ბუნების მღუმარე შიდა ფარულ-ღიაღურ-მოკრძალებული სამყაროა, უხილავ-მიმალული, მაგრამ სადღაც ბოტოქარი, იღუმალ სურნელოვან ბინდმოცული უდრმესი კოსმიურობისა; ამ შემთხვევაში თუ არ მოვიშველიე, უშორესი და უთვალსაზირობი უსახლგრო მაგალითი ასეულობით ათასწლოვან წარსულში მიმავალისა, ვერ მიეუახლოვდები ფიროსმანის გენიაზე მთავარ სათქმელს.

პლანეტის ფარული უბედურება-ტრაგედიაა, რომ საპარის ბუნებრივი გამოქვაბულის ნეოლითური ხანის შედეგ-ფრესკები, ქვესენელურ სიბნელეში იმყოფებოდა მილიონობით წლის განმავლობაში; ხოლო ზოგადად მისი არსებობა შეიძლება შევადაროთ ზეციურ განძთა მარადიულ მესხიერებას, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. და მაინც, საპარის ფრესკები უძველეს გენიათაგან უსასრულობის შემნახველი ფონდების მშვენიერებითი მოზიდვას, მიწიერებისა თავისი ადამიანური აღაღმართალი თემანით. ეჭვგარეშეა, რომ ის კოსმოსისა და უფლის გრძნეული განძეულია, რაც სამყაროში და ჩვენს პლანეტამდე ღვთიური ძალებით დაუსრულებელ გადაადგილებებს დაემორჩილა...

როგორც მოგახსენეთ, საპარზე ჩაკირულ ქვა-გრანიტებად, ნეოლითური ხანის მსოფლიოში მხოლოდ უმზეო ერთთაგანი ბნელეთური მუზეუმი, ისტორიამდელი ხელოვნებისა. უდიდეს ღოდთა კედლოვან გამოქვაბულის განმარტოებით მხატვრობაში. განსაკუთრებით და გამორჩეულად ვერ ვიმსჯელებთ იმ უნიკალურ ფრესკად აღვლენილ, კლდე-მიწისქვეშა ნახატ ნიშნებებზე, ასევე მის რომელიმე მხატვრულად გამოკვეთილ სახე ნიუანსურ თუ მკვეთრ იდუმალ თვისობრივ ღირსებებზე. რათა ყოველივე თითქოსდა არაჩვეულებულ-ადამიანურ შედეგებში, როგორც საოცრება გონდამახსენებელი ვარსკვლავეთური ქმნილებისათვის თვითმყოფადურად დამახასიათებელი წარმოდგენილი კონკრეტული უთამაშეს დინამიკათა ხაზ-ფორმა-პროპორციათა გამოვლენითი ყოველად მიუწვდომელი მთლიანობაა – უსახლგრო შემოქმედებითი თავისუფლებით. ამ ნახატებში ნავარდობს ღვთიური მიუწვდომელი ნიჭი და ადამიანთა პირველყოფილი უშუალოება, სადაც ადრეული და ჩვენი საუკუნის ხელოვნების ყველა მიმდევრობის შემადგენელი მოდეკულები ტრიალებს, ანუ ქმნილების მარადიული სიახლეა.

აქედან გამომდინარე, ამ უხსოვარდროინდელი სარკოფაგისეულ ჩაუხანგულ კედლოვან ნახატებში, როგორც საოცრება ვარსკვლავეთური მოვლენისათვის, მკვეთრ-განსხვავებით წარმოდგენილი უცხო მიწიერი ერთიანობაა და ველურ-წმინდანური ინტუიციისმიერი ფორმათა ღვთიური თამამ-სტილიზირებაა როგორც ადამიანების სხეულების, ასევე ცხოველ-ფრინველთა.

შესაძლებელია, ბევრ თანამედროვე ვეროპელ უდიდეს მხატვრებს შემოქმედებითი ღონით თუ ბუნებრივგაბედულ ფორმათა გამომხატველობითი პირდაპირობითაც ჩრდილავდეს, რადგან იქ, იმ ბნელეთის ფრესკის შემქნის მომენტებში პირველყოფილ შემქმნელ შეგირდთან ერთად მთავარი მონაწილე უფალი უმთავრესს მიუთითებდა. შედარებისთვის – მაისის თვის მოწმენდილ ცაზე სავსე, ვერცხლად ქცეულ მთვარეს რომ უყურებ, უზომოდ გიზიდავს, სულიერად გამშვიდებს, გამაღვებს და სიცოცხლეს გაეყვარებს, შინაგან-შემოქმედებითი აზროვნების პარმონიას გიმდიდრებს და საამო რომანტიკულ ოცნებებში შეჰყავხარ, რითაც მთლიანი შენი სხეულ-შემადგენლობით გარემო-ჭუჭყისგან იწმინდები; ამ სახისაა ბუნებისმიერი ორთავე, მოძრავი და უძრავი შემოქმედებითი სახეობა. მეორე მშობლიურ მონათესავე ნაპირზე არიან ისეთი დიდი და გამორჩეული მხატვრები, რომელთა ხეობით სხენებული მხატვრულ-ზეციურ-გემეცნებითი სულისმიერი გაურკვეველი შრეებიდან ნერწყვმდენი გემოვნება, წვიმის შემდგომი მზის სხივებითი მოედინება. მაგალითისთვის, დავიწყოთ ეგვიპტური კედლის მხატვრობით, სანდრო ბოტინელი, ელ გრეკო, ამელიო მოდლიანი, სოკუსაი, სპარსული მინიატურები, მატისი, პიკასო, ლადო გუდიაშვილი და რამდენიმეს დასახელებაც შეიძლება. ხოლო ფიროსმანისეული, მღუმარე შორეულიდან ამომავალი თავდახრილი მშვენიერება დაახლოებითი შემოქმედებითიერთობაა, როგორც დავისახელოთ, საპარას გამოქვაბულის მილიონ წლებს მონისლელი, მარად ცოცხალი ნახატები. ასევე სხვადასხვა კონტინენტის არქაული, უძველესი ხანის კულტურა ცივილიზაციების უნიკალური ქმნილებანი როგორც ქანდაკებაში, თანვე მხატვრობაშიც, მოყვებით ადრეულიდან გვიანდელისკენ: აცტეკების, მაიას კულტურაიანების, შუმერული, უძველეს-კოლხური, ეგვიპტურ-ასირიული, ანტიკა-კლასიკა და ასე შემდეგ, თანამედროვე მოდერნამდე: კანდინსკი, სალვადორ დალი, მოქანდაკე მური, ხუან მირო, მარკ შაგალი, კაზიმირ მალევიჩი, ჯეკსონ-პოლაკი. მეგობრებო, არ გადაგტვითათ, ისე, შუა საუკუნეებიდან მოყოლებულს რამდენიმეს დავასახელებ: მაზანო, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, რემბრანტი, ველასკესი, გოია, ელ გრეკოში კი უთუოდ მკვეთრად ხაზგასმული მთის წყაროსთან გამავალი ნიავეით სულიერ-ანდამატური გემოვნება თითქოს უხილავად მოედინ-გაედინება; დარბაისელი გენია ტიციანი, დელაკრუა, კრახტი, ბრეგელი, გოლბეინი, ბოსხის ზღაპრულ-მითოური სამყარო; შემდეგ კვლავ წამოვიდეთ

ჩვენი საუკუნისკენ: სეზანი, გოგენი, ვან გოგი, რენუარი, დეგა, მანე, მონე, პისარო, ტულუზ-ლოტრეკი, ვლამინკი და ფიროსმანი; დანარჩენები თქვენვე მოიგონეთ და ისიაშოვნებთ...

ნუ გვაკვირვებს, მეგობრებო, ამაღავარი შედარებები, რადგან მეცნიერულადაც მტკიცდება, რომ ათასობით წლის შემდეგაც მეორდება გავლენითი ფორმა-სხივებით ნაღდი ბუნებრივი და მართალი ნაწარმოებები, განურჩევლად სტილისა და ფორმისა, ასევე ფუნდამენტური აზრების, მაღალი მხატვრული სახე-შინაარსით და ყველგან მყოფი მუსიკალურ-პოეტური ბგერებით, რადგანაც საკვირველი მთლიანობაა მათში ვარსკვლავეთისა ნებისმიერი უსასრულობის მრავალ დროსთან ერთად. კოსმოსი ხომ სტიქიურად მარადიულობის უწყვეტი დინებაა; ხოლო თემათა განახლებულობით, ვინც სრულიად სიახლე მხატვრულ ქმნილებას აღმოაჩენს, ის უკვე ზეგენიაა. უთუოდ ნიკო ფიროსმანაშვილი, თავისთავადობის, გამოკვეთილი ინდივიდუალურობის დამოუკიდებელი მიუღწევადი ხელოვნების მეუღარებელი მეუფეა... მილიონობით წლებიდან მოყოლებული, თუ რამე უმნიშვნელოვანესი შეუქმნია ადამიანს ხელოვნებაში ყველასგან მრავალმხრივ გამორჩეულია და მხოლოდ ერთადერთი განუმეორებელი სახეა უკვდავი შედეგებისა. აქედან გამომდინარე, უფლება მაქვს, თამამად ვთქვა, რომ ნიკალა მართლაც უზენაესთა შემოქმედი გვეოლია ქვეყნად მთლიანობისა.

ახლა ორიოდ სიტყვა ვთქვათ „ჯოკონდაზე“, ამ ღვთისმიერ ქმნილებაში შედეგის უმთავრესი და განუზომელი ნიშან-თვისება იმის იქითაა, რითაც ხარ აღტაცებულ-დატყვევებული, პლანეტაზე უპირველეს ხელოვნების ქმნილებას, ანგელოზის ფრთებგაქრულს, უფლის ცრემლიც რომ არ აკლია და სრულიად ნამცვეა ზედმეტს, მიწიერ-ზეციურსაც რომ ვერ უპოვნი. აქვე აღვნიშნოთ ანტიკური ხანის ერთ-ერთი სათუთ საოცრებათაგანი, პრაქსიტელის აფროდიტე, შემდეგ მზე-ვარსკვლავი, ვენერა მილოსელი და ღმერთი ფიდიასი – და მეუფეთ-მეუფება ქანდაკებისა. ანტუან ბურდელის ბეთჰოვენის ბიუსტთა მეცხრე სიმფონიისეული ზეციურსახება, როდენის უზარმაზარი წონა სივრცეში „მოაზროვნე“, დესპიოს უმშვენიერესი ქმნილებები, ისევ ვან გოგის, ფერწერული ავტოპორტრეტები. მათში ხომ ვერაფერს შეაძნეოთ ოდნავადაც ცალკე ნაწილგამოყოფილს. კოსმიური სრულყოფილებისა და მთლიანობის მხოლოდ უძლიერესი, უახლოეს-მორეული ნათება იფრქვევა მათგან. ვიმეორებ, მაგ ზეციურ დასშია ზეცისეული ნიკო ფიროსმანაშვილის სრულიად მონოლითური ქმნილების უნაკლო სულიერების ფერწერული მოღუდუნე ჯანსაღი ორგანიზმი. ლეონარდო და ვინჩის არ იყოს, ნიკალას ნებისმიერი სურათ-ნახატი შედეგია და თითოეული ნაწარმოების ყოველგვარი იდუმალი მომაჯადოებელი განზომილებიანობა ერთ მიუწვდომელ დიდების მწვერვალზეა მთამსვლელის მუხლებით და ხელის მტკვნებით აზიდული და ღვთიურ-საოცრებათა უმცირესი მხატვრული მნიშვნელობის ელემენტიც ზეციურ სიდიადეს ემსახურება.

როგორც მილიონობით წლის წინანდელ, სრულიად ველურ ტანშიშველ მხატვართან, ასევე ნიკო ფიროსმანაშვილთან ერთად მაღალი ღმერთი ღვთისადაც ხატავდა და კოსმიური სიყვარულით ერთობოდა... ამ შემთხვევაში, მეგობრებო, ურთულესი თემით წარვდექი თქვენს წინაშე. ყოველივე ზევით გაშლილ-განხილული გენიათა ფერ-ხაზ-ფორმათა წარმოსახვითი მოვლენები მხატვრული სიხუსტით ლიტერატურულად რომ გააშუქო, უფაღვივით უნდა იყო ხელოვნებათმცოდნე და ფილოსოფიურად მოაზროვნე ჩამწვდომი მწერალი. უთუოდ საკვირველი აზრია, მაგრამ ყოველგვარი ხელოვნების შედეგრი, სულიერი უკუსვლაცაა გალაცქიკისა და უფლის უსასრულობისკენ...

ხელოვნების მოყვარული და კეთილ მკითხველი, ამ შემთხვევაში ჩემი მიზანი გახლდათ შედეგთა ორ უძლიერეს ფონდებით დაჯგუფებათა სულიერ-სისტემურ გრძნობათა უხილაობითი ჩვენება, რომელია მათგან უფრო მიუწვდომლობა, ძნელი დასადგენია, რადგან მათივე მხატვრულ ქმნილებათა გარემოცვაში არსებობს სულიერი და გონებრივი იდეამალთვისებანი სულ-გონ-ოცნებისმიერად დამატორიული გემოვნება. აი! ამ ზეციურ მზისფერ გალერეაში არიან გადანაწილებულნი ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების განიები. თქვენთვის პირადული სულიერი სახის რომელი თვისებაა მინაგანად ახლოს, თავისუფალი ნებით მასვე ეახლებით, მერმე ურთულეს მოვლენა მეორესთან იმავე მისწრაფებებით გამოცხადდებით, ოდნურ, გონებრივად სულიერთან ტონალური გადართვით, მაგრამ ორივესთან ერთად ურთიერთობით როდესაც ხელმძღვანელობთ, იდეალური ბრძენი დამთვალთვრებულ-გამგებ-შემფასებელი ხართ. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელოვნების მიუვალ ნაწარმოებებთან პირისპირ შეხედარისას მრავალმხრივი ემოციურ-შეგრძნებითი სირთულეები არ ავცდებთ უსახლგრო სიაშოვნებასთან ერთად...

ვიმეორებ, ახალშობილი შიშველი ბაღლივით მხოლოდ მატერიალურად უღარბესმა მხატვარმა განუსაზღვრელი ღირებულების შემოქმედებითი ნიჭის სულიერი სიმდიდრე დაუტოვა სრულიად საქართველოს და მილიან კაცობრიობას: ხელოვნათა შორის წმიდა ნიკო, ფერმწერი, თვით უფრო ღვთივ, შეწირვა იყო ზეციური. უზენაესსა და გენიოსს შორის ჩემი ზოგადი გაგებით საკვირველი განსხვავებაა. უფალი თითქოსდა გაქვენება, ერთი მიუწვდომელი სულის მქონეა თავისი უკიდვანობით. გენიოსს კი ორი უნაკლო სულიერება ახლავს, საკუთარი და მისგან შექმნილი შედეგებისა – თითოეულად ყოველ ღვიტ ქმნილებაში თანაბრად გადანაწილებული; თუმცა, უთუოდ გაბეჭდილად, ბოდიშის მოხდით, გადავთქვამ და სამყაროსეული მრავალსულიანობა ორივეშია. ნუ გიკვირთ, მეგობრებო, ეს ცნება. თუ ქალი, ბავშვის მომლოდინე, ორსულიანია, მაშინ უფლისა და გენიოსის მრავალსულიანობა ზეციური გაგებით გონმტკიცედ დამაჯერებელი ფაქტია.

თავისთავადი და მწარედ კრიტიკულ-მბორგავი ბუნება, ყველაფერს შობს, შემდეგ მიყოლებით შლის და სპობს. ამ სახის დინება მუდმივია, აქ გახლავთ მისი განვითარების საიდუმლოებათა სხვადასხვა პროცეს-დონე და წარსულ-აწმყო-მომავლის ამსახველი სიძველე-სიახლეები. ადამიანმა და მისმა გენიამ თავისივე მონაპოვარნი თვითონვე თავდადებით უნდა იხსნას-შეინახოს, რადგან ბუნება და კოსმოსი წმიდათაწმიდა მტრული ურთიერთგანწყობაა. ეს ორი საპირისპირო პოლუსი როგორც ბუნება-კოსმოსშია, ასევე ადამიანებშიცაა.

უკიდურესად დადებითად გვაშინებ, ნიკალა, რადგან შენეული სიმაღლე სუყველა გენიოსისგან განსხვავებულია და არნახული უსასრულობით მიუწვდომელ-წრიულია.

აქვე არ გამოვიცხოთ ჩვენდამი მიმართებაში დროის ყოველმხრივ მიუდგომელი სტიქიური უმკაცრესი პრინციპები, ის ცალკე მისდათავად მონაწილეობით სვლაში შობს, ზრდის, ამწიფებს, აბერებს და გარდაცვალებით ისტუმრებს, მთლიან ქვეყნად როგორც ცოცხალ არსებებს, ასევე საგნებს, ნივთებს და ხელოვნების ნებისმიერ ნიმუშს; სევდის მომგვრელად თუ საკვირველ მომლოდინედ რელიგიებსაც, მხოლოდ უფალს არ ეკარება არაფერი... ამაღავარ გარდუვალობებთან დაკავშირებით ადამიანმა დროულად უნდა გამოსტაცოს ხელოვნების ქმნილებანი ყოველთა წამშლელ-მომსპობის, ნებისმიერი მეცნიერული მიდგომით და აურაცხელი სიმდიდრე-ოქროც რომ მიახარჯოს, წარმოიდგინოთ, კაცთა მოდგმას ძალუძს, ისეთი საოცრების მარადიულად შენახვა, როგორც ვენერა მილოსელია, ლეონარდოს „ჯოკონდა“, ბიბლია, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, და ადამიანური კომედია... ხოლო ძნელზე ძნელ-იდუმალაა წარმატად რელიგიათა შენარჩუნება, ანუ როგორც ჩამავალ მხეს ვერ შეაჩერებ და სამწუხაროა... დედამიწაზე ომის ნებისმიერი მოქმედება ხომ დამღუპველია რელიგიათა, კულტურა-ცივილიზაციების და ყველაზე უტყუარი გამხელილი გამომჟღავნებაა ადამიანის უბოროტესი ბუნებისა.

(გაგრძ. გვ. 8)

ლეთისკაცი ლაშა-50



დელამიწაზე უფლის ნებით ეშვებიან ადამიანები ადამიანთა გადსარჩენად, რათა სულის სალბუნად მოეველინონ განსაცდელში მყოფთ და სამშეომე გაიყვანონ, ყოველგვარ ბოროტეულს ააცდინონ, სწორი გზით აგარონ და ამ წუთიერი სამყაროს გვირით, ამ ცოდვილ დელამიწაზე შეუმსუბუქონ, მზის ნათელი დაანახონ, ერთმანეთს გულის კარები გაუღონ და სიყვარულითა და თანადგომით ერთმანეთის გვირით იგვირთონ, რათა ამ სოფელში ნათელი მოეველინოს მათ გზა-სავალს, რომ მათი არყოფნის მერეც გამოადგეთ თაობებს გზასავალად, თორემ ისედაც მცირეა დრო, რაც გვეძლევა ამ დუნიაზე, მით უფრო ისეთ გარდამავალ ეპოქაში, სადაც ჩვენს თაობას მოუწია ცხოვრებამ, ერთი საუკუნის დასასრულსა და მეორის დასაწყისში. ათასი წელი ჩვენნაირი მოკვლევებისთვის საკმაოდ დიდი დროა, თუმცა უფლისთვის ერთი თვალის დახამხამება.

... რა ჩქარა გასულა წლები, თურმე 50-ის ხდება, ჩვენი ლაშა, ქვეყნის საამაყო შვილი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული და გამორჩეული, ყველასთა ვის ჭირში გვერდით მდგომი, გაჭირვების ტალღეებს ყოველგვარი ანგარებისა და აქიოგაქის (ხმაურის) გარეშე, მიუხედავად თავისი რეგალიებისა ლაშას სამსახურის კაბინეტის კარები მუდამ ღიაა

ადამიანებისათვის, რომელთაც სხვადასხვა პრობლემებთან უწევთ შეჭიდება, მისგან მუდამ კეთილ რჩევებს და თანადგომას იღებენ, სწორედ ამიტომ შეიყვარა იგი ხალხმა და სამართლიანად უწოდეს „სამეგრელოს მშვიდობის ელჩი“, ლეთისკაცი, ერისკაცი, მამულიშვილი, აბა როგორც მწერალს, პოეტს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, კრიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს, მრავალი პრემიისა და ჯილდოს მფლობელს საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ.

ლაშა გვასალთა ფაქტობრივად კრავდა სამეგრელოს რეგიონის მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, მას ლომის წილი უდევს სამეგრელოს ერთადერთი რეგიონალური გაზეთის, მემარგინეს „ეგრისის მაცნეს“ გადარჩენაში, რომელიც თავის სიჭყვას იცვლის სამომავლოდ და აღიარებულ იქნება იმ მავანთაგანაც, რომლებიც მის არსებობას ხელს უშლიდნენ.

დიდია ლაშა გვასალიას ღვაწლი და საქმეები ერისა და მამულის, რეგიონის წინაშე. ჩვენო ლეთისკაცი ლაშა, გილოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჩვენს ქვეყანას თქვენნაირი შვილების სიმრავლეს. მრავალქა მიერ თქვენი სიცოცხლე.

სიყვარულითა და პატივისცემით „ეგრისის მაცნელები“ და ნათია ჯგუშია

ნიკო ქორთუა

ღვაწლმოსილი

ცხოვრება და მოღვაწეობა



ბაგონმა ნიკომ თავისი რთული და საინტერესო ცხოვრების გზა ღირსეულად გაიარა, ის არის ასამდე მეცნიერული შრომის ავტორი. მათ შორის ექვსი მონოგრაფია და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული მეთექვსმეტე ტომის თანაავტორი. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია „საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში“, „ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ ომში“, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში“, „დასავლეთ საქართველოს ბრძოლა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ“ და სხვა.

ნიკოლოზ ქორთუა დაიბადა 1922 წლის 7 ნოემბერს გუგდიდის რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში მედიკოს ომში. 1943 წელს ფრონტზე მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს. ომიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1946 წელს იგი პედაგ

ოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თავისი მშობლიური აბასთუმნის სკოლაში ჯერ როგორც მასწავლებელი, შემდეგ როგორც დირექტორი.

1949 წელს ნიკოლოზ ქორთუა სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება პეტერბურგში. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ხალხთა ისტორიის განხრით, სადაც მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1953 წელს.

ნიჭიერებით გამორჩეულსა და ერუდირებულ ახალგაზრდას თავისმა აკადემიის პროფესორებმა არაერთხელ ურჩიეს დარჩენა შემდგომი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის გასაგრძელებლად, მაგრამ მას უნდოდა სამშობლოში დაბრუნება და ცნობილ მეცნიერს ბორის რომანოვს მრდილობა ნი უარი განუცხადა,

1948 წელს ბაგონი ნიკო დაოჯახდა. ცოლად შეირთო ქალბატონი კლარა ჯიბლაძე, პროფესიით ექიმი. მათ სამი შვილი შეეძინათ: ია, თეიმურაზი (თამაზი) და მანანა.

საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ ნიკოლოზ ქორთუა 1953 წელს ოქტომბერში დაინიშნა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად და სსსრული-სამეცნიერო დარგში. მალე იგი დააწინაურეს ამავე ინსტიტუტის რექტორად. ბაგონი ნიკოლოზი 1957 წლიდან 1984 წლამდე ხელმძღვანელობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელსაც წარმოშობის უძველესი ისტორია გააჩნია.

ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა მეფე ერეკლე მეორის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად, 1758 წელს თელავის სასულიერო სასწავლებლის დაარსებით, რომელიც შემდეგ 1782 წლიდან ფილოსოფიურ სემინარად გადაკეთდა. მის პირველ რექტორად დაინიშნა გაიომ ბარათაშვილი-საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი. ხოლო 1790 წლიდან დემესხი შვილი. ამ სასწავლებლის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ანტონ კათალიკოსმა. ამავე სასწავლებლის ბაზაზე 1830 წელს თელავში დაარსდა სამაზრო სკოლა. ხოლო 1865 წელს „წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლად გადაკეთდა,

რომელიც 1923-24 წელს პედაგოგიურ სასწავლებლად ჩამოყალიბდა. 1939 წლის 1 სექტემბერს კი „კახეთის სამეფო სასახლეში“ თელავის პირველი მარი დაირეკა.

1940 წლიდან ინსტიტუტი აგარებს დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სახელს. 1951 წლამდე სამასწავლებლო ინსტიტუტსა და 1951 წლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ რექტორები, ბ-ნები: დ. მარიქაძე, ტ. სარიშვილი, შ. სიხარულიძე, ნ. ჩახვაშვილი, ი. ნანობაშვილი, ვ. ციხისთავი.

ინსტიტუტის დაარსებამდე ნეე მუშაობა დაიწყო ბევრმა ცნობილმა პროფესორმა და ახალგაზრდა მეცნიერმა. 60-იანი წლებიდან პროფესორები: ბ. ბაქრაძე, პ. ბერაძე, ა. გაჩეილაძე, აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა. დოცენტებმა: გ. გაბელაძე, მ. ჩიქავაძე, ამაშუკელმა და სხვებმა.

ისტორიკოსმა პროფესორებმა: ა. ანთელავამ, დ. ღუბაძემ, ა. იოსელიანმა, გ. მარგიაშვილმა, შ. მეგრელიძემ, ე. მენაბდე, შ. ხანთაძემ, ი. სიხარულიძემ, თ. პაპუაშვილმა, შ. ლომსაძემ და სხვებმა.

ბაგონმა ნიკომ, წარმოშობით კოლხმა, კახეთის ღელაგულში- თელავში ხანგრძლივად იმოღვაწა, როგორც პედაგოგმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ. იგი შეუწელებელი ენთუზიაზმით შრომობდა ინსტიტუტის წინსვლისა და აღორძინებისათვის. მას ეამაყებოდა, რომ მისი საღმრთლო დისერტაცია „საქართველო 1806-1812 წწ რუსეთ-თურქეთის ომში“- სხვადასხვა არქივების პარალელურად დიდი მეფე ერეკლეს ციხე-გალავნისა და სასახლის კედლებში მზადდებოდა.

საქართველოს სახელოვანი მეფის ერეკლე მეორის დიდი პატივისცემისა და მთაბრძოლობის მიერ მისი დაფასების სიმბოლოდ ბაგონი ნიკოს მიაჩნდა მეფის მემორიალის სასახლიდან ინსტიტუტში გადატანა და ინსტიტუტის ახალი კომპლექსის მშენებლობა.

ეს მოვლენა არცთუ ისე შორეული წარსულია და ბევრი ახსოვს რომ იმ პერიოდში თითქმის მიუღწევლად ითვლებოდა ასეთი განზრახ

ვა, მაგრამ სწორედ ბაგონი ნიკოს დიდი დამსახურება იყო, რომ იმ დროის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით საკავშირო მთავრობა დაითანხმა და თელავის სამხრეთით გყიანი ზოლის სამღვარზე აშენდა ინსტიტუტის შესანიშნავი სასწავლო კომპლექსი, საცხოვრებელი კორპუსი, სპორტკომპლექსი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა მრავალი დამხმარე ნაგებობა საცურაო აუზის ჩათვლით. ეს კომპლექსი მთლიანად თანამედროვე მაგერი ალურ- გექნიკური ბაზით აღიჭურვა. თელავის ამ ახალ უბანს მოსახლეობა „სკულეტგო ქალაქს“ უწოდებდა. ამავე დროს ინსტიტუტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიქმნა პეტარზე გაშენდა ახალი გყე-პარკი.

ინსტიტუტმა 1973 წლის 1 სექტემბერს იმეიმა ახალ სასწავლო კორპუსში გადასვლა. იმ პერიოდისათვის ინსტიტუტს სამი ფაკულტეტი გააჩნდა: ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-ფილოლოგიის, დაწყებითი განათლებისა პედაგოგიკისა და მეთოდის. იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, მათემატიკოსები: ბაგონი: ვ. ჭელიძე, დავით კვესელავა, გ. კაკუშაძე, ა. ჩახვაშვილი, ვ. კობახიძე, მ. ბაშაღიშვილი, მ. თოფურიძე მ. სულხა ნაური და სხვები.

ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სამოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე მოღვაწეობდნენ ცნობილი პროფესორები: ნ. ჩახვაშვილი, ვ. სიფრაშვილი, ბ. წოწონავა, მარაბა მია, თ. ბაკურაძე, ლ. დეისაძე, გასათიანი, ბ. ხასია, დოცენტები: გ. ჯიბუგი, გ. ბაქრაძე, ბ. როსტომაშვილი, მ. სესიაშვილი, ნ. მალუქი, ი. ჩიკვაძე, ლ. ამაშუკელი, ა. ხინთიბიძე, ა. ავალიშვილი, ა. ურუშაძე და სხვები.

გარდა სამსახურეობრივი და სამეცნიერო- კოლევიალური ურთიერთობისა გემოაღნიშნულ პიროვნებებთან ბაგონი ნიკოს დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

განსაკუთრებულია ბაგონი ნიკო ქორთუას რთი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეში, იგი მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ძალასა და ენერგიას არ იმურებდა ნიჭიერი ახალგაზრდების მერჩევის, მომზადებისა და პროფესიული აღზრდისათვის. მისი აღზრდილი სპეციალისტები დღეს წარმატებით იღწვიან როგორც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო-

ცენტრებში. ინსტიტუტის მმართველობა ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდა.

ბაგონი ნიკოს უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი ხალხთა ისტორიის პრობლემურ საკითხებზე. იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით ეხმარებოდა და კონსულტაციებს უწევდა დოქტორანტებს.

მოგვიანებით ბაგონი ნიკო ლომი 1984 წლიდან 1992 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიის კათედრას. ხოლო 1993 წლიდან დაუბრუნდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს და სათავეში ჩაუდგა მსოფლიო ისტორიის კათედრას.

ბაგონი ნიკო დაჯილდოვებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1997 წლის 10 ნოემბერს დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

თავისი განსაკუთრებული ადამიანობით, შრომისმოყვარეობით, შესაშური ენერგიითა და საქმისადმი ერთგულებით ბაგონი ნიკო სამაგალითო პიროვნება იყო სკულენტი-ახალგაზრდობისათვის.

ბაგონი ნიკო 1998 წლის 28 ნოემბერს მოულოდნელად გამოაკლდა ქართული უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მოღვაწეთა რიგებს.

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა ღირსეულად დააფასეს ბაგონი ნიკო ქორთუას ღვაწლი. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მისი ნეშტი დაიკრძალა უნივერსიტეტის ეზოში.

ინსტიტუტის დაარსებიდან 60 წლის თავზე 1999 წელს დაფუძნდა თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს არის რეგიონის მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს საბუნებისმეტყველო, ზუსტი, სოციალური, ჰუმანიტარული, ჯანდაცვის, აგრორული და გადამამუშავებელი მეცნიერების დარგებში.

ნაზიმბროლა ქორთუა



ზუგდიდი მომავლის ქალაქი

ზუგდიდის სპორტის მუზეუმი

„ნიკო პოლკა“ - სწორედ ეს ნაწარმოები მიუძღვნა „ვალსის მეფედ“ წოდებულმა იოჰან შტრაუსმა ნიკო დადიანს, მისი ჯიროთითა და საცხენოსნო ოსტატობით აღფრთოვანებულმა.

მსოფლიო საჭადრაკო სპორტის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა XIX საუკუნის ბოლოდან მოღვაწე ანდრია დადიანმა. აღსანიშნავია, რომ ანდრიას პირველად ჭადრაკის თამაში დედამ ეკატერინე ჭავჭავაძემ ასწავლა; შემდეგ კი ასწავლიდნენ მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი მოჭადრაკეები. უკვე თვალსაჩინო მოჭადრაკე ანდრია დადიანი 1903-1904 წლებში მონგო-კარლოს საჭადრაკო ტურნირების პრემიერენტი და ორგანიზატორია. იგი იყო აგრეთვე, უამრავი ტურნირისა და შეჯიბრების გამარჯვებული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდში ჭადრაკისა და საცხენოსნო სპორტის განვითარებას (დოლი, ცხენბურთი, ისინდი, ცხენით ვარჯიში, მშვილდოსნობა, მკერდაობა, ყაბახობა, ჩერეზი, მარულა, თარხია, გერულაფა, სიმაღლეში ხტომა და სხვა) დადიანებმა დაუდეს დასაბამი.

ზუგდიდში დაბადებულსა და აღმზრდელს, მსოფლიო ჭადრაკის ცოცხალ ლეგენდას, სწორუკოვარ ნონა გაფრინდაშვილს, განზრახული აქვს გიგანტური ღვაწლი ღიმილი და ღიმილი ზუგდიდის სპორტის მუზეუმისათვის გადმოცემა (მუზეუმის დირექტორი როლანდ მაქაცარიას განცხადება), რასაც არსებული ფართის სიმცირე აფერხებს მხოლოდ.

აღსანიშნავია, რომ ნონა გაფრინდაშვილი:

-ამჟამად, 81 წლის ასაკშიც მერვედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი სენიორ (+65) ქალ მოჭადრაკეთა შორის;

-მსოფლიოს ხუთ გზის და სენიორ (+65) ქალ მოჭადრაკეთა შორის რვა გზისჩემპიონი (სულ: 5+8=13);

- საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტ გზის გუნდური და ცხრა გზის პირადი ოქროს მფლობელი ჩემპიონი;

- პირველი ქალი გროსმაისტერია მამაკაცებს შორის.

ზუგდიდის სპორტის მუზეუმში(დროებით გამოყოფილი ფართში) გამოფენილი: მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიადების, საქართველოს და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულ ზუგდიდელ სპორტსმენთა მიღწევებისა და ჯილდოების ამსახველი მასალების სიუხვე აღაფრთოვანებს ნებისმიერ დამთვალიერებელს, მათი მასშტაბები დიდ გაცილებას იწვევს, როგორც ადგილობრივ, ასევე ზუგდიდში ჩამოსულ ვიზიტორთა შორის, რომელთათვისაც ძნელად დასაჯერებელია ზუგდიდელ სპორტსმენთა ესოდენ მაღალი, მრავალი მეგაპოლისისთვისაც სანაგრელი მიღწევები.

ამჟამად, სახაზინო სამსახურების შენობის მესამე სართულზე განთავსებულ ზუგდიდის სპორტის მუზეუმში უხვადაა გამოფენილი საამაყო სპორტსმენთა რეკვიზიტები (2500 რეკვიზიტი და დიდი ოდენობით ფოტო მასალა, რომელიც შესაგანია სათვალავში).

წარმოგიდგენთ მხოლოდ რამდენიმე რეკვიზიტს:

- 1964 და 1978 წლებში თბილისის დინამოს მიერ ფეხბურთში მოპოვებული საბჭოთა კავშირის თასები;

-ამ თასების მოპოვებაში თავიანთი წვლილის შემგანი ფეხბურთელების: გივი ხოჭოლავა, ბორის სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, ოთარ გაბელია, ზვიად სიჭინავა,

ვლადიმერ ბარქაია და სხვათა, სპორტული აღჭურვილობის ნაწილი. აქვეა, მიხეილ მესხის ოჯახისა და სხვათა შემოწირულობები.

- XX საუკუნის საუკეთესო რაგბისტის, გინესის წიგნის რეკორდსმენის ირაკლი კიშირიას და ბევრ სხვათა უამრავი სპორტული რელიქვია სპორტის სახეობების მიხედვით;

- სულ ახლა ხანს მუზეუმს გადაეცა ხვინა კვარაცხელიას ავტოგრაფიანი მაისური.

წინაპართა ბრწყინვალე სპორტულ ტრადიციებს წარმატებით აგრძელებენ თანამედროვე ზუგდიდელი სპორტსმენები, ისინი ღირსეულად ასპარეზობენ სპორტის მრავალ სახეობაში და აღწევენ უმაღლეს შედეგებს მსოფლიო მასშტაბით.

იმედია რომ, ზუგდიდის სპორტის მუზეუმი კვლავაც შეივსება ქალაქისა და ქვეყნისათვის საამაყო სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ჯილდოებითა და შემოწირული სპორტული რეკვიზიტებით.

ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილისა და ანდრია დადიანის „ოდაბადეში“ სპორტის მუზეუმისათვის, სასურველიაისეთი ადგილის გამოყოფა, რომელიც დააკმაყოფილებს არსებულ-რეალურ მოთხოვნებს და ერთნაირად მოხერხებული იქნება,როგორც ქალაქის სტუმართათვის, ისე ნებისმიერი ასაკისა და სოციალური ფენის (ვეტერანები, ხანდაზმულები, სკოლის მოსწავლეები, შშმ პირები და ა.შ.) წარმომადგენელთათვის.

ზუგდიდში გამოყოფილია ასეთი ადგილი, დადიანთა სასახლეების ისტორიული სამუზეუმო სივრცის გაგრძელებაშეშენებარე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის ახალგაზრდული ცენტრის მეორე სართულზე, დროებითი საგამოფენო სივრცისათვის გამომწეული ფართის სახით.

აღნიშნული ფართის სპორტის მუზეუმისათვის გადაცემით მოგვარდება შემდეგი საკითხები:

-ამაღლდება ზუგდიდის, როგორც სპორტული მიღწევებით გამორჩეული ქალაქის ცნობადობა;

-ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე ზრუნვას მიეცემა ახალი იმპულსი.

-შეუფერხებლად წარიმართება მუზეუმის ახალი ექსპონატებით შევსების პროცესი;

-ზუგდიდში სპორტის პოპულარიზაცია გადავა სრულიად ახალ ეტაპზე;

-ვიზიტორთათვის მოხერხებული იქნება მუზეუმში მოხვედრა;

-დაცული იქნება ვეტერანთა, ხანდაზმულთა, შშმ პირთა უფლებები, სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოება და ა.შ.)

გუფიქრობ რომ, ელისუფლების კეთილი ნებით, მოსახლეობის სამართლიანი სურვილისა დამალალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე,ზუგდიდის პრეტესიის ამაღლებისა და ჩვენი საამაყო სპორტსმენების ღვაწლის დაფასების მიზნით,დადებითად გადაწყდება დასმული საკითხი.

საზოგადოება ზუგდიდელის თავმჯდომარის მოადგილე:

ლავრენტი კიშულარია

შეჯიბრი ცხენოსნობაში

გასული წლის 28-30 ოქტომბერს ზუგდიდში ჩატარდა შეჯიბრება ეროვნულ სახეობაში კერძოდ „ცხენბურთისა“ და „ისინდში“. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ: ზუგდიდის, სამგრედის, სენაკის, აბაშის, ჭალაღიდის, ჩოხატაურის, პანკისის, მარნეულის ნაკრები გუნდები.

სამეგრელოში სულ არსებობდა ცხენოსნობის 12 სახეობა, კერძოდ: ცხენბურთი, ჩეხვა, ყაბახი, ისინდი ჩერეზი, დოლი, მარულა, თარხია, გერულაფა, გვერდაობა, ცხენით ვარჯიში, მოქნევა, მკერდაობა.

1. პირველი დიდი შერეული სისხლიანი ცხენებით 1400 მეტრიან მანძილზე ზუგდიდის „დიდ თასზე“, გაიმარჯვა ზუგდიდელმა მხედარმა საბა ეხვიაიმ ცხენი „პაკი“-თ. საბა დაჯილდოვდა შესაბამისი თასითა და დიპლომით კლუბი „ხარება“.

2. 1600 მეტრიან დოლი „აფხაზეთის“ თასზე სუფთა ინგლისური ჯიშის ცხენებით, ასაკი სამ წლიანები

გაიმარჯვა ზუგდიდელმა მხედარმა კლუბი „ხარება“-დან საბა ეხვიაიმ ცხენი „ბლექით“ და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომითა და სპეციალური თასით.

3.დოლი ორწლიანი ცხენებით, საქართველოს პირველი პრემიერენტის ზვიად გამსახურდიას სახელობის თასზე. გაიმარჯვა 1400 მეტრიან მანძილზე აბაშელმა მხედარმა საბა თელიამ ცხენი „გაგრაითი“.

4. სუფთა სისხლიანი ცხენების დერბი 2400 მეტრი, საქართველოს დიდ პრიზზე ცხენი „ზუგდიდით“ მოიგო ზუგდიდელმა მხედარმა საბა ეხვიაიმ კლუბი „ხარება“.

5.გარბენი 1600 მეტრზე სუფთა სისხლიანი ცხენებით საქართველოს თასზე მოიგო სამგრედიელმა მხედარმა ვარდენ კიკაჩიშვილმა ცხენი „კრუგოით“.

6. სუფთა სისხლიანი ცხენებით 2400 მეტრიან მანძილზე აფხაზეთის დიდ თასზე მოიგო ყულარის

ცხენთაშენიდან ზუგდიდის სახელით გამომსვლელმა, ცხენ „ცხუმით“ მხედარმა ქილარ ნაზაროვმა.

7. დოლი 1200 მეტრიან მანძილზე დაბრკოლებათა გადალახვით აწ გარდაცვლილი ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონისა და საქართველოს მრავალგზის გამარჯვებული კლუბ „ხარებას“ ყოფილი მწვრთნელის სოსო შელიას სახელობის თასზე მოიგო საცხენოსნო გუნდი „ხარება“-ს წევრმა მათე ეხვიაიმ ცხენი „ბელა ბიუთი“ შავი მარგალიტი, ეს იყო ურთულესი დოლი რომლითაც დაიხურა ღონისძიება, დიდად გაიხარეს ზუგდიდელმა და ჩამოსულმა გულშემატკივრებმა.

ვულოცავთ ჩვენს სახელოვან მხედრებს ბრწყინვალე გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდეგ წარმატებებს.

ზუგდიდის სპორტის მუზეუმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი: როლანდ მაქაცარია



სამეგრელო-ზემო სვანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ეგრისის მაცნე“-ს რედაქცია 25 წლისთავთან დაკავშირებით გეგმავს გამოსცეს წიგნი - „ეგრისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ წიგნში აისახება უნიკალური მასალები ცნობილ ადამიანებზე, მათ საზოგადოებრივ საქმიანობასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე. ჩვენი ქალაქისა და რეგიონის ისტორიაზე რომელშიც „ეგრისის მაცნე“-ს წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული. წიგნი „ეგრისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ კი ჩვენი წარსული ისტორიის ნამდვილი ექსპონატი, მომავალ თაობებს კინო კადრებით გააცნობს წარსულს - აწმყოში ამ დღეებში „ოლონდ ერთმანეთი გვიყვარდეს“.

საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში წიგნი „ეგრისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ ს სახელით.

„საქართველოს ბანკი“, შპს „ეგრისის მაცნე“ 98 0000000537135285

მსურველებს, ჩვენს ერთგულ მკითხველებს, გულშემატკივრებს შეგიძლიათ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხოთ თქვენთვის სასურველი თანხა. ერთად გადაეარჩინოთ ჩვენი წარსული.

